სტუდენტის და პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები

1. სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს აქვს უფლება:

- თანაბარ პირობებში ისარგებლოს ბნსუ–ს მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- მოითხოვოს ბნსუ–სთან დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულება, ხარისხიანი განათლების მიღების შესაძ-ლებლობის უზრუნველყოფა და სწავლისათვის აუცილებელი პირობების შექმნა;
- თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი;
- მოითხოვოს მისი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის, სასწავლო პროცესში თანასწორი მონაწილეობის, ცოდ-ნის ობიექტური და სამართლიანი შეფასების, მიღებული შეფასებების გასაჩივრების შესაძლებლობის, არჩევანის გამჭვირ-ვალობის და სხვ. უზრუნველყოფა;
- მონაწილეობა მიიღოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის და სასწავლო პროცეხის ხარისხის შეფასების პროცესში და თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი;
- თანაბარ პირობებში მონაწილეობა მიიღოს ბნსუ–ს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, ბნსუ–ს გაცვლით პროგრამებში, პროექტებში, კვლევებში, ტრეინინგებში და სხვ.;
- იყოს სტუდენტური თვითმმართველობის წევრი, თანასწორი და სამართლიანი არჩევნების საფუძველზე არჩეული იყოს მის მართვის ორგანოში (სტუდენტის შემთხვევაში);
- თანასწორი და სამართლიანი არჩევნების საფუძველზე არჩეული იყოს წარმომადგენლობით და ფაკულტეტის საბჭოებში და მონაწილეობა მიიღის მართვაში და გადაწყვეტილებების მიღებაში თანაბარი ხმის უფლებით (სტუდენტის შემთხვევაში);
- უარყოფითი (F, ჩაიჭრა) შეფასებების შემთხვევაში განმეორებით შეისწავლოს სასწავლო კურსები/პროგრამის კომპონენტე-ბი;
- არჩევითი სასწავლო კურსების/თავისუფალის კრედიტების კონცენტრაციით მოახდინ მისთვის სასურველი საგანმანათ-ლებლო პროფილის ფორმირება (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში);
- ზეწოლის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, აღდ-გენის და ბნსუ–ში ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების შესახებ;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფოსგან, საგანმანათლებლო დაწესებულებისგან, სხვადასხვა ფონ-დებისგან/ორგანიზაციებისგდან, კერძო პირებისგან ან სხვა კანონმდებლობით ნებადართული წყაროდან მიიღოს სტიპენ-დია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება და სხვა შეღავათები;
- დისციპლინური დევნისას განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები და სასამართლოში გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები;
- ისარგებლოს ბნსუ–ს მარეგულირებელი დებულებებით/წესებით გათვალისწნებული შესაძლებლობებით და საქართ-ველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით.

2. სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

- შეასრულოს ბნსუ–სთან დადებული ხელშეკრულების პირობები და მოთხოვნები;
- ბნსუ–სთან დადებული ხელშეკრულებით დადგენილი წესით (ვადებში და ოდენობით) გადაიხადოს ბნსუ–ს მიერ დადგე-ნილი ოდენობით სწავლის საფასურის (სრული თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) ან ბნსუ–ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურსა და დოკუმენტურად დადასტურებულ გრანტს/დაფინანსებას შორის არსებული სხვაობა (ნაწილობრი-ვი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში), შეასრულოს ყველა ფინანსური ვალდებულება;
- შეასრულოს მის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები, ისწავლოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო კურსი/კომპონენტი და ის სასწავლო კურსი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია;
- დაიცვას ბნსუ-ს ეთიკის კოდექსი და ქცევის წესები;
- არ დაუშვას ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია;
- მართლზომიერად ისარგებლოს ბნსუ–ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით;
- გაუფრთხილდეს ბნსუ–ს ტრადიციებს და რეპუტაციას;
- შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობის, ბნსუ–ში მოქმედი შინაგანაწესის და სხვა მარეგულირებელი დებულებების/ წესების მოთხოვნები, ადმინისტრაციის, წარმომადგენლობითი, აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოების გადაწყვეტილე-ბები.